

მოსმენის დავალების ტექსტი

გთავაზობთ ინტერვიუს ფსიქოლოგ ქეთევან ოსიაშვილთან, რომელიც გვესაუბრება პედაგოგისათვის საჭირო უნარ-ჩვევების შესახებ.

– პედაგოგობა ერთ-ერთ ურთულეს პროფესიად მიიჩნევა და ისევე, როგორც ნებისმიერი სხვა პროფესია, განსაზღვრული უნარ-ჩვევების ფლობას მოითხოვს. რა არის მთავარი, რაც პედაგოგის პროფესიონალიზმს განსაზღვრავს?

– მთავარი, რაც პედაგოგის პროფესიონალიზმს განსაზღვრავს, კონსტრუქციული, ორგანიზაციული და საკომუნიკაციო უნარ-ჩვევებია.

– რაში ეხმარება მასწავლებელს კონსტრუქციული უნარი?

– ალბათ ყველა შევსწრებივართ, რომ რომელიმე მოსწავლე თანატოლს ესაუბრება იმის შესახებ, რა კარგ გაკვეთილს ატარებს მისი მასწავლებელი, რა საინტერესო ინფორმაციას აწვდის. ამაში პედაგოგს კონსტრუქციული უნარი ეხმარება. თუ მას კარგად აქვს განვითარებული ეს უნარი, ის ადვილად და სწორად შეარჩევს და გადაამუშავებს მოსწავლეებისთვის გადასაცემ სასწავლო მასალას, სწორად დაგეგმავს როგორც მოსწავლეთა საქმიანობას სასწავლო ინფორმაციის ასათვისებლად, ასევე საკუთარსაც მათთან ურთიერთობის პროცესში. მოსწავლეები დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ, რა სასწავლო მასალას იყენებს მასწავლებელი გაკვეთილის ჩატარებისას. თუ ის სახელმძღვანელოთი შემოიფარგლება, მცირეა ალბათობა, მისმა გაკვეთილმა მოსწავლეთა მოწონება დაიმსახუროს. თუმცა ისიც სათქმელია, რომ სასწავლო მასალის მოძიება, შერჩევა და გადაამუშავება არ არის საკმარისი პედაგოგისთვის სასწავლო პროცესში წარმატების მისაღწევად.

– გეთანხმებით; როგორც თქვენ უკვე აღნიშნეთ, აუცილებელია მასწავლებელს ჰქონდეს ორგანიზაციული უნარ-ჩვევები.

– დიახ, მას უნდა შეეძლოს როგორც სასწავლო ინფორმაციის, ასევე მოსწავლეთა სასწავლო საქმიანობის და მათთან უშუალო ურთიერთობისას საკუთარი ქცევის ორგანიზება. ყოველივე ამას ის ადვილად მოახერხებს, თუ ექნება პედაგოგისთვის აუცილებელი ორგანიზაციული უნარ-ჩვევები. ეს უნარ-ჩვევები ეხმარება მასწავლებელს, მიზანმიმართულად გამოიყენოს გაკვეთილის თითოეული წუთი, სწორი ორგანიზება გაუწიოს დაგეგმილ აქტივობებს, რამაც შესაძლოა იმდენად საინტერესო გახადოს გაკვეთილი, რომ ბავშვებმა ზარის დარეკვის შემდეგაც კი გააგრძელონ განხილულ საკითხებზე ფიქრი და მსჯელობა, ეს კი სასწავლო მოტივაციის ამაღლების მნიშვნელოვან წინაპირობას წარმოადგენს.

– მაგრამ არც ორგანიზაციული უნარებია საკმარისი პედაგოგის წარმატებისთვის...

– რა თქმა უნდა; მასწავლებელმა შესაძლოა ძალიან კარგად ააგოს გაკვეთილი, მოიძიოს საჭირო მასალა, სათანადოდ გაუწიოს ორგანიზება როგორც მოსწავლეთა, ასევე საკუთარ საქმიანობას, მაგრამ თუ არ ექნება საკომუნიკაციო უნარები, გაუჭირდება მოსწავლეებთან სწორი ურთიერთობის დამყარება, რაც მის წარმატებას საგრძნობლად შეუშლის ხელს. თუ მასწავლებელს აქვს ზემოთ ჩამოთვლილი უნარ-ჩვევები, მას არ გაუჭირდება საინტერესო გაკვეთილის ჩატარება.

– მაინც როგორი გაკვეთილები მოსწონთ მოზარდებს?

– მათთვის განსაკუთრებით მიმზიდველია ისეთი გაკვეთილი, რომელიც თვითრეალიზაციის საშუალებას აძლევთ. ამისთვის სასურველია, იმართებოდეს დისკუსიები, დებატები, რომელთა დროსაც მოსწავლე აქტიურად გამოხატავს თავის პოზიციას, აზრს, დამოკიდებულებას ამა თუ იმ საკითხის მიმართ და საჭირო არგუმენტების მოშველიებით შეეცდება მათ დაცვას.

– სასკოლო პრაქტიკა მოწმობს, რომ პედაგოგის პოპულარობას არცთუ იშვიათად მისი ხასიათის თვისებებიც განსაზღვრავს.

– განსაკუთრებით დიდი მოწონებით სარგებლობს პედაგოგი, რომელიც არის სამართლიანი, ობიექტური, კეთილი, ხალისიანი, იუმორის გრძნობის მქონე, თბილი, მოსიყვარულე, მეგობრული, მომთხოვნი, გამგები. ბავშვები საოცრად მგრძნობიარენი არიან გულწრფელობის მიმართ და მტკივნეულად აღიქვამენ უფროსების ქცევასა და სიტყვებში შემჩნეულ სიყალბეს. თუ გავითვალისწინებთ, რომ ისინი საკმაოდ კარგად ფლობენ არავერბალურ კომუნიკაციას და შესანიშნავად

კითხულობენ ფიქრებს ჩვენს სახეზე, ალბათ აჯობებს, მოვერიდოთ ყალბ ღიმილს და გრძნობები გულწრფელად გამოვხატოთ. ხშირად ბავშვისთვის ჩვენი გაბრაზებული გამომეტყველება უფრო მისაღებია, ვიდრე ემოციების დაფარვა და მოჩვენებითი კმაყოფილება.

– ძალზე ფაქიზი დამოკიდებულება აქვთ ბავშვებს საკუთარი სახელის მიმართ და განიცდიან, როცა მასწავლებელს მათი სახელი არ ახსოვს ან ახსოვს და მაინც გვართ მიმართავს.

– სახელით მიმართვა ბავშვისთვის ერთგვარი სიახლოვის გამომხატველია. მას უჩნდება განცდა, რომ მასწავლებლისთვის ის ახლობელი და ძვირფასია. ასევე მტკივნეულად აღიქვამენ ისინი მეტსახელებით მიმართვას, განსაკუთრებით – თუ ეს მეტსახელი რამენაირად უკავშირდება მათ გარეგნობას. მაგალითად, გარდამავალ ასაკში მეოფ მოზარდს, რომელსაც ფიზიკურ განვითარებაში მომხდარი დისჰარმონიის გამო ცხვირი და ყურები სახის სხვა ნაწილებთან შედარებით ბევრად უფრო წამოზრდილი აქვს, ვინმემ რომ „ცხვირა“ ან „ყურმა“ დაუძახოს, ის მის „უბოროტეს მტრად“ იქცევა და რაიმე ფორმით აუცილებლად გამოხატავს აგრესიას მის მიმართ.

– ბავშვის უკმაყოფილების მიზეზად ხშირად იქცევა მოსწავლეების გამორჩევა მასწავლებლის მიერ, ერთის მიმართ დიდი სიმპათიის გამოხატვა და სხვების მუდმივი ძაგება.

– მათში აგრესიას ბადებს უფროსების მიერ მისაბამ მაგალითად რომელიმე მათი თანატოლის მოყვანა. საყურადღებოა, რომ ასეთივე აგრესია ბავშვს შესაძლოა მშობლის მიმართაც გაუჩნდეს, თუ ის გამუდმებით საყვედურობს მას და მოითხოვს მისგან, მიბამოს ძმას, რომლის მიმართაც მშობელი საქებას სიტყვებს არ იშურებს. თუ უფროსების მხრივ ასეთ შედარებებს სისტემატური ხასიათი მიეცა, შესაძლოა, ბავშვებს შორის უკმაყოფილება მომავალში სერიოზულ მტრობაში გადაიზარდოს. ამ სირთულეებს თავიდან ავიცილებთ, თუ მივიღებთ ბავშვს ისეთს, როგორც არის, ვაგრძნობინებთ, რომ გვიყვარს, კეთილგანწყობილი ვართ მის მიმართ და ვზრუნავთ მასზე.